ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3946282

ნომერი: AR1595920

თარიღი : 26.04.2018

გაცემის თარიღი : 04.05.2018

გაცნობის თარიღი : 07.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , ნაკვეთი 02/223 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , მიმდებარედ (ნაკვეთი 02/132) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი შანდორ პეტეფის (წულუკიძის) III , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია კიკალიშვილი პ/ნ 35001055369
- თბილისი ბ.ჭიჭინაძის ქ. კორ. 23 ბ. 49

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:
ვინაიდან მოწოდებული მასალით ვერხერხდება არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში განსახორციელებელი სამუშაოების სრულფასოვანი აღქმა, რის გამოც ვერ ხორციელდება თქვენს მიერ დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შეფასება, იმისათვის რომ სამსახურმა ხელახლა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

განმარტეთ, ეხება თუ არა სამუშაოები იჯარით გაცემულ ფართებს და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინეთ მოიჯარის თანხმობა ან შესაძლებელია მოიჯარე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : ამ ველში ატვირთეთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები დღის განათების ფონზე ახლო და შორი მანძილიდან გადაღებული ხედის ფიქსაციით , დღეის მდგომარეობით გადაღებული დათარიღებული სახით ;

..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : ამ ველში აიტვირთოს ახალი ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი მასალისა და დეტალური ზომების დატანით, მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოსადგენი გექნებათ საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის (ორთოგონალური პროექციის გეგმილის) მონიშვნით;
გაითვალისწინეთთ: "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე- 2 პუნქტის თანახმად, "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე".
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი ა)–ს თანახმად: განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.
სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით).

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.